



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია
ბრძანება



*5000 საქართველო, ჩხოროწყუ,
 დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა: INFO.GAMGEOBA@GMAIL.COM



ბრძანება:ბ110.110220491

თარიღი:18/02/2022

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 61- ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500- ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები, № 1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურს და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს -მერის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურსა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების-მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2022 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) თემურაზ მალანია-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, მობილურის N 599 85 65 75, ელ.ფოსტა: temurimalania@mail.ru

ბ) ომარ ახალაია-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი, მობილურის N 599567728 , ელ.ფოსტა: omariaxalaia@mail.ru

გ) ნონა პაპავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი -მერის წარმომადგენელი ქალაქ ჩხოროწყუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 65 88, ელ.ფოსტა: nonapapava@mail.ru

დ) ნესტან ქარჩავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის წარმომადგენელი ხაბუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 65 99, ელ.ფოსტა: nestangarchava1975@gmail.com

ე) ავთანდილ სიჭინავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-ლესიჭინეს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი, მობილური N 599856481, ელ.ფოსტა: chkhor.lesitchine.gov@gmail.com

ვ) ბაკურ ქომეთიანი -ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი, მობილური N599856445, ელ.ფოსტა: bakurqometiani@gmail.com

ზ) გიგლა ყალიჩავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი ქვედაჩხოროწყუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 44 29, ელ.ფოსტა: gigla.valichava@mail.ru

თ) როლანდ გაბედავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი ახუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 44 39, ელ.ფოსტა: rolandgabedava@gmail.com

ი) გენადი ვეკუა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი ნაკიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85

65 96, ელ.ფოსტა: genadivekua@iaho.com

კ) გიორგი ლემონჯავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი ზუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 07 37, ელ.ფოსტა: giorgi.lemonjava85@gmail.com

ლ) ხვიჩა ლაგვილავა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი ნაფიჩხოვოს ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 65 92, ელ.ფოსტა: xvichalagvilava1959@gmail.com

მ) ვახტანგ თოდუა-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი ჭოღის ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 65 86, ელ.ფოსტა: vaxtang.todua60@mail.ru

ნ) ინგა ასათიანი-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი კირცხის ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 46 25 , ელ.ფოსტა: ingaasatiani1975@mail.ru

ო) მამამზე საჯაია-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-მერის წარმომადგენელი თაიას ადმინისტრაციულ ერთეულში, მობილური N 599 85 08 28 , ელ.ფოსტა: mamamzesajia1978@gmail.com

პ) ჯემალ დამენია-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-ლექტორ-მედიკოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი. მობილური N 599 85 65 98, ელ.ფოსტა: jemaldamenia@gmail.com

7. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს “ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ” ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 08 თებერვლის №53-ს ბრძანება.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

დათო გოგუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



დანართი

N	დასახლების სახელწოდება	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარებში)
1	სოფელი ზუმი (995)	კონსულტაცია	23.02.-11 სთ	16 000
2	სოფელი მუხური (1238)	კონსულტაცია	23.02. 12 სთ	20 000
3	სოფელი ლეგახარე (588)	კონსულტაცია	23.02. 12 სთ	16 000
4	სოფელი ქოყო (154)	საერთო კრება	23.02. 13.30 სთ	10 000
5	სოფელი თაია (981)	კონსულტაცია	23.02. 14.30 სთ	16 000
6	სოფელი ნაფიჩხოვო(628)	კონსულტაცია	23.02.-16.30 სთ	16 000
7	სოფელი ლედარსალე (501)	კონსულტაცია	23.02.-15.30 სთ	16 000
8	სოფელი ხანჭვი (443)	საერთო კრება	23.02.-16.30 სთ	16 000
9	სოფელი ხაბუმე (1413)	კონსულტაცია	24.02.-11 სთ	20 000
10	სოფელი მოიდანახე (785)	კონსულტაცია	24.02.-11 სთ	16 000
11	სოფელი ჯუმითი (411)	საერთო კრება	24.02.-12სთ	16 000
12	სოფელი პირველი ჭოლა (724)	კონსულტაცია	24.02.-13.30 სთ	16 000
13	სოფელი მეორე ჭოლა (661)	კონსულტაცია	24.02.-14.30 სთ	16 000
14	სოფელი ლექობალე (76)	საერთო კრება	24.02.-13.30 სთ	10 000
15	სოფელი ნაკიანი (182)	საერთო კრება	24.02.-17 სთ	10 000
16	სოფელი ლეახალე (58)	საერთო კრება	24.02.-17 სთ	10 000
17	სოფელი ლექარჩე (102)	საერთო კრება	24.02.-17 სთ	10 000
18	სოფელი გარახა (575)	კონსულტაცია	24.02.-16 სთ	16 000
19	სოფელი ქვედაჩხოროწყუ (1192)	კონსულტაცია	25.02.-11 სთ	20 000
20	სოფელი ლეჯიქე (174)	საერთო კრება	25.02.-11 სთ	10 000
21	სოფელი ახუთი (849)	კონსულტაცია	25.02.-12 სთ	16 000
22	სოფელი მონგირი (838)	კონსულტაცია	25.02.-12 სთ	16 000
23	სოფელი ლესიჭინე (2321)	კონსულტაცია	25.02.-13.30 სთ	20 000
24	სოფელი მე-2 ლესიჭინე (501)	კონსულტაცია	25.02.-13.30 სთ	16 000
25	სოფელი ოჩხომური (299)	საერთო კრება	25.02.-14.30 სთ	12 000

26	სოფელი კირცხი (981)	კონსულტაცია	25.02.-16.სთ	16 000
27	სოფელი სარაქონი (740)	კონსულტაცია	25.02.-16.სთ	16 000
28	სოფელი ლეწურწუმე (801)	კონსულტაცია	25.02.-17 სთ	16 000
29	სოფელი ნაგვაზაო (52)	საერთო კრება	25.02.-17 სთ	10 000
30	სოფელი ჯუმიტი (411)	საერთო კრება	25.02.-17 სთ	12 000